საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალანდია ზაურ ვლადიმერის ძე

კალანდია ზაურ ვლადიმერის ძე (დ. 23. III. 1949, ზუგდიდი), მწერალი. დაუსწრებლად დაამთავრა სოხუმის მ. გორკის სახ. პედ. ინ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი (1978). 1976-იდან ცხოვრობს თბილისში. სხვადასხვა დროს მუშაობდა წიგნის სახელმწ. პალატაში „მემატიანის" რედაქტორად, მთარგმნელობით კოლეგიაში – რედაქტორად; ეწეოდა პედ. მოღვაწეობას კულტურისა და ხელოვნების სახელმწ. უნ-ტში; იყო ჟურნ. „ცისკრის" თანამშრომელი, პროზის განყ-ბის გამგე, ხოლო 1992–2011 – მთ. რედაქტორი. 2014-იდან სამხატვრო-*სალიტ.* ჟურნ. „რიწის" მთ. რედაქტორია. პირველი მოთხრობები 1977 დაბეჭდა ჟურნ. „ნობათში". ავტორია რომანებისა: „ზვარაკი", „ჟამი უდაბნოში", „ძეგლი ყველასათვის"; პროზაული წიგნებისა: „ჩემი ღამის ცა" (1982), „ესკიზები საშემოდგომო განწყობილებისათვის" (1985), „ზარი" (1997), „ვაშლის გემო" (1998), „ესკიზები საშემოდგომო განწყობილებისათვის-2" (2002), „ერთტომეული" (2002). მისი რომანისა („ზვარაკი") და სცენარების („დურუ", „გზა") მიხედვით გადაღებულია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები.

რომანისათვის „ძეგლი ყველასათვის" 2002 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია; 2010 – ი. ჭავჭავაძის პრემია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).